

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება

"მამული, ენა, სარწმუნოება"

პ რ ო გ რ ა მ ა.

მ. ე. ს. არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქეთა ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას, მის შემდგომ სრულყოფას, შემოქმედებას და მეცნიერულ მუშაობას. პროგრესულად მოაზროვნეთა იდეების რეალიზაციას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

მ. ე. ს. -ს საფუძვლად უდევს ქართული ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, ჰუმანური და განმანათლებლური იდეები. იგი აღიარებს საერთაშორისო ნორმებისა და ვალდებულებებისადმი ერთგულებას.

მ. ე. ს. ითანამშრომლებს პოლიტიკურ პარტიებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს მოსახლეობის სულიერი და სოციალური აღორძინებისათვის. კრიტიკულად აფასებს, რა ბურჟუაზიული და კომუნისტური ფორმაციების იდეოლოგიებს, სანაცვლოდ ქართულ საზოგადოებას სთავაზობს "ქართული, ანუ "ნეოცივილურ იდეოლოგიას".

მ. ე. ს. -ის დევიზია: "მამული, ენა, სარწმუნოების" დაცვა და მოვლა პატრონობა:

ა). მამულის დაცვა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება; ბ). ქართული ენის დაცვა და მისი კომპიუტერულ ენად გადაქცევა; გ). ღვთიური კანონების რწმენითა და გამოყენებით, ბუნებრივი და ობიექტური კანონების შეცნობილი აუცილებლობის საფუძველზე წმინდა სამების - ქრისტიანული, მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა და გაძლიერება.

მ. ე. ს. - ის მიზანია: საქართველოში სრული პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, სეპარატისტული მოვლენების აღკვეთა, ეროვნული და სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრება, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალური ორიენტაციის ეკონომიკური განვითარება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა, ფართო საგარეო - ეკონომიკური ურთიერთობისა და ეროვნული ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პირველი რიგის ამოცანაა: ხალხის მიერ დაქირავებული საჯარო მოხელეების საქმიანობის მოქცევა თავისუფლებისა და ვალდებულების მკაცრად განსაზღვრულ კალაპოტში, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და კონსტიტუციური იურისდიქციის გავრცელება მთელ მის ტერიტორიაზე. სახელმწიფო აღმშენებლობაში ცენტრალური და რეგიონული თვითმართველობის დამყარება, გაფართოება და სრულყოფა, კანონის უზენაესობის აღიარებით. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ კანონით დადგენილი ფუნქციების მაღალი მომთხოვნელობის დონეზე ცხოვრებაში გატარება.

მ. ე. ს. თავის მოსახრებებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს წარადგენს ინფორმაციულ

საშუალებებში (პრესა, რადიო, ტელევიზია), უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებსა და ყველა დონის ხელისუფლების ორგანოებში.

სახელმწიფო წყობილება

მ. ე. ს. - ს მიაჩნია, რომ საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის, შეცნობილი აუცილებლობის საფუძველზე, გაითვალსწინოს სახელმწიფოს სამი ძირითადი ფუნქცია: ა). უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია; ბ). სახელმწიფოს იურისდიქციაში არსებული და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში გეოგრაფიული გარემოს ტერიტორიული მოწყობა; გ). სახელმწიფოს მოქალაქეების, ხალხის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირება.

ამიტომ მ. ე. ს. მიაჩნია, რომ ხელისუფლების მართვის ორგანოებიც უნდა იყოს სამი: ა). საკანონმდებლო, ბ). აღმასრულებელი, გ). სახალხო მაკონტროლებელი. რათა ხალხი, საზოგადოება აკონტროლებდეს რეალურად მის მიერ არჩეული და "დაქირავებული" საჯარო მოხელეების მუშაობას ხელისუფლების ყველა დონეზე, მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ცენტრალური, ქალაქების, რაიონული და სოფლის გამგეობების დონეზე. უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება სახალხო რეფერენდუმი, რომლის დანიშნვის კონსტიტუციური უფლება ექნება "სახალხო მაკონტროლებელ ორგანოს".

მ. ე. ს. მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს იურიდიული და პოლიტიკური მოწყობის ოპტიმალური ფორმა იქნება საპარლამენტო რესპუბლიკა.

სასამართლო ხელისუფლება

სახელმწიფოში უნდა დამყარდეს სანიმუშო წესრიგი, სახელმწიფო დისციპლინა. კონსტიტუციის აღიარებული პრინციპების შესაბამისად, ქვეყანაში უნდა გატარდეს სასამართლო რეფორმები, რომელიც არსებით გავლენას მოახდენს არა მარტო სასამართლოების, არამედ სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონირებაზე ადამიანის უფლებების დაცვაზე.

სასამართლო რეფორმებმა უნდა მოიცვას მართლმსაჯულების მთელი სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და ორგანიზაციულ გარდაქმნათა კომპლექსი, მას უნდა ჩამოსცილდეს ის ელემენტები, რომელიც ნიშანდობლივია ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმისათვის. სასამართლომ უნდა განამტკიცოს უმთავრესი თვისება - მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებული ხელისუფლება. რეფორმამ უნდა შეცვალოს საზოგადოებაში მართლმსაჯულების დანიშნულება, სასამართლო სტატუსი.

ტრადიციულად მთელ მსოფლიოში დამკვიდრებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობა დაყოფილია სამ ძირითად შტოდ, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვება შესაბამისი ქვედა საფეხურები, რომელიც აკმაყოფილებს უფლისა და ბუნებრივი კანონების მოთხოვნებს

და ტრანსფორმირდება ობიექტურ კანონებად: 1). საკანონმდებლო ორგანო, საქალაქო საკრებულო, რაიონული და სასოფლო საკრებულოები; 2). აღმასრულებელი ორგანო მთავრობა, ქალაქის მერი და მისი ადმინისტრაცია, რაიონული და სასოფლო გამგებლები, შესაბამისი მუნიციპალიტეტებით; 3). სახალხო მაკონტროლებელი ორგანოს ქვედა შტო იქნება, შესაბამისად, საქალაქო სახალხო მაკონტროლებელი ორგანო, რაიონული და სასოფლო სახალხო მაკონტროლებელი ორგანოები, რომელთა მუშაობას უხელმძღვანელებს ცენტრალური სახალხო მაკონტროლებელი ორგანო.

სასამართლოსა და მართლმსაჯულების ორგანო გადმოვა საკანონმდებლოს შტოზე, რომლის მუშაობას უხელმძღვანელებს პარლამენტი და დაცული იქნება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სხვა სახის ზეწოლისაგან.

მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მისი სამართლიანი განაწილების მართვას, საშინაო და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში სრული დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა კონსტიტუციურად დაეკისრება აღმასრულებელ ხელისუფლებას მთავრობას, ხოლო მისი მუშაობის წარმატებული თუ წარუმატებელი შედეგების შემფასებელი იქნება სახალხო მაკონტროლებელი ორგანო და სახალხო რეფერენდუმი. რომლის გადაწყვეტილებას უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს ნებისმიერი მოხელე - ეს იქნება პრეზიდენტი, მეფე, პრემიერ მინისტრი, დიქტატორი, ავტოკრატიული მმართველი. ასევე მმართველობითი სისტემის ქვედა შტოს ყველა მოხელე.

ეკონომიკური პოლიტიკა

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სამართლებრივი კანონების მკვლევარების აზრით, ატომური და კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ მსოფლიოში შექმნა ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობა, რამაც მოითხოვა კონსტიტუციური და იურიდიული სამართლებრივი კანონების რეგულირება ორი მიმართულებით: 1). საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურდება სახელმწიფო, ანუ ხდება მისი ეტატიზაციის პროცესი; 2). გააქტიურებული სახელმწიფოს მიერ შესაძლო თვითნებობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა მისი სამართლებრივი შეზღუდვა.

მ. ე. ს. იზიარებს მკვლევართა ამ აზრს და ნათლად ხედავს, რომ ამ გლობალური პრობლემის გადალახვის რესურსი კაპიტალისტური და სოციალისტური წყობილების კონსტიტუციებსა და იდეოლოგიებს არა აქვთ. ამიტომ ჩვენ შემოგვაქვს პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში ახალი აზროვნება და ახალი იდეოლოგია - ქართული, ანუ "ნეოცივილური იდეოლოგია". აქედან გამომდინარე ქართულ საზოგადოებას ვთავაზობთ სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის ახალ მოდელს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალ გზას, რითაც აღვადგენთ თითქმის ათასწლოვან წყვეტას, რაც განიცადა ქართულმა ცივილაზაციამ დავით აღმაშენებლის, თამარისა და რუსთაველის ოქროს ხანიდან დღემდე.

მ. ე. ს. - მიზანი და ამოცანაა: საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდეს თავისი განვითარების ბუნებრივ გზას, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სხვა ერებისაგან განსხვავებული

ეროვნული ფენომენი - ქართველი ერი. დღეს ბუნებრივი და სუბიექტური კანონების შერწყმისა და ობიექტურ კანონებად ფორმირების პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთი ტექნიკის გამოგონებისა და წარმოების დაწყება, რომელიც ატმოსფეროსა და კოსმოსის ათვისების საქმეში იქნება უნიკალური და უსაფრთხო.

მ. ე. ს - ის ხელმძღვანელ ბირთვს დიდი იმედი გვაქვს იმისა, რომ ქართველი ერის ინტელექტუალური პოტენციალი დადებითად გადაწყვეტს ამ ღვთიურ მისიას.

ბურჟუაზიულ და კომუნისტურ თეორიასა და პრაქტიკაში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები საკუთრების ფორმების განსაზღვრაში, კერძოდ ინდივიდუალური საკუთრება გაიგივებული იყო კერძო საკუთრებაში, ამიტომ იგი დაუცველი დარჩა აქამდე, ხოლო მათ მიერ გამოცხადებული თავისუფლება, დემოკრატია და სამართლიანი სახელმწიფოს ცნება ყალბი და ტყუილი.

მ. ე. ს. აღიარებს, რომ საქართველოში და სხვა ქვეყნებში მოქმედებს საკუთრების სამი ფორმა: საზოგადოებრივი, ანუ ეროვნული, კერძო და ინდივიდუალური საკუთრება, რომელიც თანაბრად იქნება კონსტიტუციაში წარმოდგენილი, გამიჯნული და კანონით დაცული, ხოლო ფინანსურად თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფილი.

მ.ე.ს - ს ამოცანაა ეროვნული სიმდიდრე გადანაწილდეს სამართლიანად სამივე ფორმის მესაკუთრეებზე, ხოლო სტრატეგიული დარგების და ბანკების ნაციონალიზაცია ჩატარდეს. კერძო საკუთრების მონაწილეობით.

საფინანსო - საბიუჯეტო სისტემა

მ. ე. ს - ს მიაჩნია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ - ერთი მთავარი საკითხია სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად ფორმირება, მისი შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსება. სახელმწიფომ ეკონომიკური ორიენტაცია უნდა აიღოს ბიუჯეტის შემოსავლების სტაბილურ წყაროებზე.

მ. ე. ს. -ის მიზანია შეიქმნას სახელმწიფო ეროვნული ბანკი, რომელიც თავისუფალი იქნება მსოფლიო ბანკისა და სხვა ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური ზეწოლისაგან. იგი უნდა გახდეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. დასაშვებია კერძო ბანკების შიდა ფილიალების ფუნქციონირება.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმამ, რომელშიც უნდა აისახოს ფართოდ და ობიექტურად განისაზღვროს საგადასახადო ბაზა. გადასახადების გადახდაში დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა. ძირითადი დატვირთვა გადავიდეს ისეთ გადასახადებზე, რომლებიც გამოირჩევიან გათვლისა და ამოღების სიმარტივით. შეიზღუდოს მოქმედი გადასახადების სახეები და დაწესდეს ყველა გადასახადების საერთო თანხის მარეგლამენტირებელი საპროცენტო განაკვეთი ცალკეული პრიორიტეტულობის დადგენის პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო დისციპლინის განმტკიცებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საბიუჯეტო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

ფულად - საკრედიტო სისტემა ისე უნდა იმართოს, რომ არ იქნეს დაშვებული მაღალი ინფლაცია. ამისთვის კი საქართველოს ეკონომიკა უნდა მოვამზადოთ უნაღდო ანგარისწორებაზე გადასაყვანად, რომელშიც გამოყენებულ იქნება კომპიუტერილი ტექნიკა და პლასტიკური ბარათები, ე. წ. "ელექტრონული ფული". ასეთი ღონისძიება გამორიცხავს მაღალ ინფლაციას, ხოლო ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას და არამართო მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და გასავლების გამჭვირვალობას, არამედ, გაამარტივებს საფინანსო - საბიუჯეტო სისტემისა და ბანკების მუშაობის კონტროლსაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულადი და საკრედიტო ციფრული ემისია უნდა იყოს დარეგულირებული წარმოებისა და საქონელბრუნვის მოცულობასთან.

ფულად - საკრედიტო სისტემის განვითარება წარმოუდგენელია ასეთი ღონისძიებების განხორციელებისა და ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირების გარეშე.

სოციალური პოლიტიკა

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების გამო სოციალური დაცვის ფუნქცია ხელისუფლების მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, შემუშავდეს სოციალური პოლიტიკის ერთიანი სახელმწიფო პროგრამა. აუცილებელია დადგინდეს რეალური საარსებო მინიმუმის ზღვარი, რომლის არასასურველი ცვლილებების შემთხვევაში სოციალური ბერკეტების მეშვეობით უნდა მოხდეს სწრაფი რეაგირება.

სოციალური პოლიტიკის განხორციელება სამ ეტაპად უნდა წარიმართოს: პირველ ეტაპზე, საჭიროა მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენა, ამისთვის აუცილებელია განისაზღვროს ოჯახის შემოსავლების დონე და დაიგეგმოს სოციალური დაცვის დიფერენცირებული ღონისძიებანი. მეორე ეტაპი, გულისხმობს მოსახლეობის საარსებო მინიმუმის სწორ უზრუნველყოფას, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის დონეზე. ამ შემთხვევაში უნდა შემცირდეს მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება. შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და ა. შ. მესამე ეტაპზე, უნდა შეიქმნას მოსახლეობის არა მარტო საარსებო, არამედ სოციალური კეთილდღეობის რეალური გარანტიები.

აუცილებელია აგრეთვე შემუშავდეს სოციალური დაცვის სადაზღვევო სისტემა. მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს, მათ შორის ყველაზე დაბალ შემოსავლიანებს უნდა გაეწიოს ყოველგვარი დახმარება. თავშესაფრებით, სამზრუნველო დაწესებულებით. ასეთი ქმედითი ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემით მაქსიმალურად შემცირდება მათხოვრობა სახელმწიფოში. უნდა შემუშავდეს სწორი სახელმწიფო პოლიტიკა ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საკითხებზე. ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა

გაზარდოს სტიპენდიები, პენსიები, ხელფასები საარსებო მინიმუმამდე.

ჯანმრთელობის დაცვა

მშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმა, რომელიც უნდა მიესადაგოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, განსაკუთრებით ყველასათვის სრული დაზღვევის რეალურად ამოქმედებას. ყველა სამედიცინო დაწესებულებებში უნდა იყოს ფასიანი და უფასო სექტორები.

სოციალურად დაუცველი ფენები: უმუშევრები, პენსიონრები, ინვალიდები, ვეტერანები, მრავალშვილიანი დედები, მარტოხელები, ომის მონაწილენი, მათი ოჯახის წევრები და განსაკუთრებით ბავშვები უნდა იყვნენ ოზრუნველყოფილნი უფასო მკურნალობით.

შეიქმნას მძლავრი სამედიცინო დახმარების ქსელი, რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს ექიმთა და სამედიცინო პერსონალის შრომითი ანაზღაურება.

განათლება

დღევანდელი განათლების სისტემა ვერ პასუხობს ცხოვრების მოთხოვნებს. საჭიროა განათლების ისეთი სისტემა, რომელიც მოამზადებს სახელმწიფოს დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის კადრებს. განათლების სისტემაში საჭიროა ზოგადი და დიფერენცირებული სწავლების პრინციპის დანერგვა, უცხოეთის ქვეყნებთან მჭიდრო კულტურული, სამეცნიერო და ეკონომიკური კავშირურობის დამყარება, კომპიუტერული სისტემების ათვისება და მისი შემდგომი განვითარება. საჭიროების შემთხვევაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა და გაგზავნა უცხოეთის სასწავლო ცენტრებიდან და უნივერსიტეტებში.

დაწყებით, საშუალო და ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლა იყოს უფასო და სავალდებულო, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში დიფერენცირებული და როგორც ფასიანი, ასევე უფასო. ფასიან სასწავლებლებში მოწყობილი სტუდენტები, რომლებიც ბეჯითად ისწავლიან, უნდა გადაყვანილ იქნან უფასო სწავლებაზე, ხოლო უფასო სწავლებაზე ჩამორჩენილი სტუდენტები გადაყვანილ იქნან ფასიან სწავლებაზე. უნდა განვითარდეს და სწორი მიმართულება მიეცეს განათლების სისტემას, რომელიც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

კულტურა

მ. ე. ს.-ის ზრუნვის საგანს წარმოადგენს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა, დაცვა და განვითარება, რაც ქვეყნის აღმავლობის ერთ - ერთი პირობაა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კულტურის კლასიკური სახეობების: თეატრის, კინოს. სამუზეუმო საბიბლიოთეკო ქსელის არა მარტო ნორმალური ფუნქციონირება, არამედ მოდერნიზება და

შისი შემდგომი განვითარება.

ხელოვნება ლიტერატურა, განათლება, მეცნიერება თავისუფალი უნდა იყოს იდეოლოგიის ჩარჩოებისაგან და ეფუძნებოდეს ხალხის ზნეობრივ და კულტურულ ტრადიციებს. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და იდეების ერთიანობას.

ეროვნული კულტურისა და ხელოვნების სწორ, მიზანდასახულ გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში არსებულ რთულ ვითარებათა და პრობლემათა ეფექტურად გადაჭრისა და დაჩქარების, შეკავშირებისა და გამთლიანების საქმეში. საჭიროა ქმედითი ხელშეწყობა თავისუფალი შემოქმედების განვითარებისათვის. საავტორო უფლებები, შემოქმედების თავისუფლება და სხვა, დაცული უნდა იყოს.

კულტურის შესაბამისი ინსტიტუტების კონკრეტული პროგრამული დაფინანსება უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

აგრარული პოლიტიკა

მ.ე.ს - ის იდეოლოგიურ - პოლიტიკური საზრისითა და მსოფლმხედველობით ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ფუნდამენტური საფუძველი არის გეოგრაფიული გარემო, თვითონ ადამიანი და სამყაროსეული ბუნების ძალები, ამიტომ მისი ეკონომიკური სტრუქტურა და რეალური ბაზისი სამი საფეხურისაგან შედგება: 1). სოფლის მეურნეობა, 2). ქალაქური მრეწველობა, 3). ვაჭრობა.

ინგლისელი ეკონომისტის ადამ სმიტის მიხედვით ეკონომიკური ბაზისის ეს სამი ელემენტი. იუველური სიზუსტით უნდა იყოს ერთმანეთთან მორგებული, რათა მათი ჰარმონიული ურთიერთობა არ დაირღვეს და მასზე აღმართული სოციალური და იურიდიული პოლიტიკური ზედნაშენი (ბმული - სახელმწიფო) არ გადატრიალდეს, იყოს მდგრადი და პერსპექტიულად განვითარებადი, რაც აქამდე განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა.

მრავალი ათასი წლის წინათ, მითვისებითი მეურნეობიდან წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის დროს, ქართველი ერის წინაპრებმა, იბერიულ - კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ტომების შთამომავლებმა, რომელთა ისტორიას მსოფლიო მეცნიერების დაუღალავი შრომის შედეგად მსოფლიო საზოგადოება გაეცნო კოლხების, შუმერებისა და ქალდეველების მიერ დატოვებული ნაკვალევითა და თიხის წიგნებზე ამოტვირფული ინფორმაციული წყაროების მეშვეობით, დასტურდება, რომ მათ დაუშვეს შეცდომა, ეკონომიკურ ბაზაზე იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენის, ანუ სახელმწიფო სტრუქტურების აშენების დროს, რომლის გასწორების გარეშე ადამიანთა საზოგადოების განვითარება წინ ვერ წავა. უფრო მეტიც, დაკნინდება და გარდაუვალი აუცილებლობით განადგურდება.

ამ შეცდომის პოვნისა და გასწორების მცდელობა იყო ბურჟუაზიულ - დემოკრატიული და სოციალისტურ - კომუნისტური მსოფლმხედველობით შემუშავებული ლიბერალურ დემოკრატიული და კომუნისტურ - დემოკრატიული ცენტრალიზის იდეოლოგიები. მაგრამ სამწუხაროდ, ასეთმა პოლიტიკურმა და ფილოსოფიურმა თეორიებმა ვერ გაამართლა, რადგან

ღვთიური (ზებუნებრივი), ბუნებრივი და ობიექტური კანონების სამფუძვლიანი წყობა ვერ აისახა ბურჟუაზიული და კომუნისტური აზროვნების თეორიებში. კერძოდ, მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მისი სამართლიანად განაწილების სტრუქტურულ მექანიზმებში და პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც გამოიხატა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების არასწორ განლაგებასა და საკუთრებათა ფორმების არასწორ გააზრებაში.

მ. ე. ს - ა ამ შეცდომების შეცნობილი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკუთარ თავზე იღებს მისი გასწორების პასუხისმგებლობას და ახალი აზროვნებითა და "ქართული, ანუ "ნეოცივილური იდეოლოგიის" შემოტანით, აცხადებს, რომ ახალი იდეების აღსრულება და ცხოვრებაში გატარება უნდა დაიწყოს საქართველოდან. ეს იქნება "ქართველი ერის ღვთიური მისიის" განხორციელება და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების მიერ, ხოლო ქართველი ერი თავის შელახულ ეროვნულ ღირსებას დაიცავს მსოფლიო ცივილიზაციის, მარიამ ღვთისმშობლისა და სამსახოვანი უფალი ღმერთის წინაშე..

აგრალური სექტორი მრავალწყობიანია. იქმნება მესაკუთრეთა და მეწარმეთა სოციალური ფენები, რომლებიც ორგანულად უნდა იყოს შერწყმული ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მიზნების უზრუნველყოფასთან. ასეთ პირობებში აგრალური რეფორმები უნდა ხორციელდებოდეს ხალხის ნებასურვილისა და მესაკუთრეთა მზადყოფნის შესაბამისად.

ამიტომ საქართველოში უმდა აღდგეს გლეხური მეურნეობა, რომელიც ამჟამად მიიღებს "საოჯახო მეურნეობის" სახეს და სტატუსს, რადგანაც იგი მოიცავს არა მარტო სოფლის გლეხობას, არამედ ქალაქის მოსახლეობასაც, რომლებიც ცხოვრობენ მრავალსართულიან კორპუსებში და მათაც ჭირდებათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მამასადაძმე, მათაც უნდა შექმნან იგი, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით როგორც უშუალოდ, ასევე დისტანციურადაც, რომლის წარმატებით განხორციელების პროგრამა შემუშავებული აქვთ უკვე ქართველ კიბერნეტიკოსებს (შალვა ლელეშვილი, ნოდარ ეფრემიძეს და სხვებს).

მ. ე. ს - ის სამეცნიერო - ანალიტიკური ცენტრის წევრები უკვე მუშაობენ ამ პროგრამის მოკლე დროში შემდგომ დახვეწასა და ამუშავებაზე, რათა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა იყოს მოხერხებული, იაფი და მარტივად მოსახმარი "საოჯახო მეურნეობის" ინდივიდუალური მესაკუთრეებისთვის. როგორც ჩვენი ქართველი გლეხისთვის იყო მოხერხებული: გუთანი, უღელი, ხარი, ურემი, ბორბალი და სოფლის მეურნეობის სხვა ტექნიკური საშუალებები: თოხი, ბარი, ნამგალი, ფარცხი, ცელი და სხვა ტექნიკა მრავალი ათასი წლის მანძილზე. აქედან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს მიწის სრული ინვენტარიზაცია და მიწის კადასტრი, რომელიც აუცილებელია მიწის რესურსების ხელახალი, სამართლიანად გადანაწილებისათვის.

ამდენად, სასოფლო - სამეურნეო წარმოების სფერო რადიკალურ გაუმჯობესობას მოითხოვს. იგი პირველ რიგში უნდა ემსახუროდეს ადგილობრივი მოსახლეობის, საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. აუცილებელია საქართველოში ოდითგანვე განვითარებული მარცვლეულის წარმოების ტრადიციების აღდგენა. მისი პროდუქცია უნდა გახდეს მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეალური საყრდენი და მეცხოველეობის აღორძინების ბაზა.

სახნავ - სათესი მიწები ძირითადად გლეხურ, ინდივიდუალურ, კოოპერაციულ, კერძო და სხვა სახის მეურნეობათა მესაკუთრეებს უნდა გადაეცეს, ტყე და საძოვრები კი სოფლის საერთო მფლობელობაში უნდა იყოს. მიწა სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს სასაზღვრო ზონაში, სტრატეგიული თავდაცვითი საქმიანობის წარმართვისათვის. სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას მიწა უნდა გადაეცეს ინდივიდუალურ საკუთრებაში კანონით დადგენილი ნორმის მიხედვით. ყველა სოფელში უნდა მოეწყოს ემტეესების მსგავსი, თანამედროვე ტიპის სერვის ცენტრები, რომელიც იქნება ხელისუფლების ზრუნვის საგანი.

მიწა იჯარით შეიძლება გადაეცეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მეურნეობის მოწყობისათვის, ხოლო მიწის ყიდვა - გაყდვა უცხო მოქალაქეებზე უნდა აიკრძალოს. მიწის დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო. იგი აყალიბებს სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა მობილურ სისტემას. უნდა ჩამოყალიბდეს მიწათმოწყობის, მიწის კადასტრის სრულყოფილი სისტემები და განხორციელდეს სათანადო კონტროლი მიწის კანონმდებლობის დაცვაზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარება უნდა გამოცხადდეს ერთ - ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. უნდა შემუშავდეს სოფლის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა.

ეროვნებათა შორის ურთიერთობა

საშინაო პოლიტიკის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ერთა შორის მშვიდობის დამყარება. საქართველოში მოსახლე ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა უნდა გააცნობიეროს ერთიანი, დამოუკიდებელი, სახელმწიფოს, როგორც მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტის სასიცოცხლო მნიშვნელობა.

საქართველოში ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. მათთან ურთიერთობისას უნდა ვეყრდნობოდეთ ქართველთა და სხვა ეროვნებისა და ეთნოსის წარმომადგენლებთან ერთად საერთო ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებულ ჰუმანურ ტრადიციებსა და ჩვევებს. საერთაშორისოდ მიღებული ნორმების პიროვნების უფლებათა პრიორიტეტებს.

საქართველოს ხელისუფლებამ კანონით უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა. მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან ყოველი მოქალაქე, და მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი, ვალდებულია დაიცვას კანონები და ინტერესები. გამოირიცხოს სეპარატისტული მოძრაობის მიდრეკილებები.

მ. ე. ს. აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემების გადასაწყვეტად ამ ეტაპზე მხარს უჭერს პროგრესულ ეროვნულ ძალებს, რომელთაც სურთ საქართველოს მთლიანობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

საგარეო პოლიტიკა

საგარეო ურთიერთობაში უნდა განხორციელდეს აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან დამყარდეს კეთილმეზობლური დამოკიდებულება პარიტეტულ საწყისებზე დიპლომატიურ დონეზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობა და გავლენა მიმართული უნდა იყოს დემოკრატიული უფლებების, პიროვნული თავისუფლებების დაცვაზე, ქმედითი სანქციების გამოყენებაზე იმ ხელისუფლების მიმართ, რომლებიც არღვევენ ადამიანთა ასეთ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ეროვნული დაცვა და უშიშროება

სახელმწიფო პოლიტიკის უპირველესი ამოცანა არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

ერთიანი, მძლავრი, მობილური არმია უნდა იყოს გარანტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და მისი შენარჩუნებისა.

ტურიზმი და სპორტი

სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია ტურისტული კომპლექსების განვითარება, რომელიც მიმართული იქნება მოქალაქეების დასვენებისა და ფიზიკური გაჯანსაღებისაკენ, უცხოური ვალუტის მოზიდვისა და ცივილიზებულ ქვეყნებთან კულტურული და მუდმივი, საქმიანი თანამშრომლობისათვის.

სახელმწიფო პოლიტიკის ორგანული ნაწილი უნდა იყოს სპორტის ეროვნულ სახეობებზე ზრუნვა. საჭირო ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის სხვა სახეობების განვითარებას იმ დარგებში, სადაც ქართულ სპორტს მოწინავე ან პერსპექტიული პოზიციები აქვს. დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციას, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობის საწინდარია.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად უნდა იქცეს ეროვნული სპორტის განვითარებისათვის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც განაპირობებს საქართველოს სპორტსმენტა მიღწევების ზრდას საერთაშორისო სარბიელზე.

ეკოლოგია

საქართველოს ფლორისა და ფაუნის მკაცრად დაცვა ბუნების შენარჩუნების სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად საჭიროა კარდინალურად შეიცვალოს ბუნებასთან მომხმარებლური დამოკიდებულება. აუცილებელია

შემუშავდეს ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სახელმწიფო პროგრამები. საჭიროა შეიქმნას ეკოლოგიური საინფორმაციო სამსახური მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის უზრუნველსაყოფად.

ღვთისმეტყველება

მ. ე. ს. ის მრწამსია რწმენის თავისუფლება. ღვთისმეტყველური აღზრდა, სიწმინდის სიყვარული, სამართლიანობა და სათნოება აყალიბებდა ადამიანთა ხასიათს საუკუნეების მანძილზე. უნდა ამაღლდეს მისი როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული საკითხები უნდა შეთანხმდეს საპატრიარქოსთან, ხოლო ეკლესიამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს არა პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში და საქართველოს თითოეული მოქალაქის ზნეობრივ და სულიერ აღზრდაში.

მანიფესტისა და პროგრამის ავტორები: მორისონ ქობულია. (ისტორიკოსი,

საზოგადოებათმცოდნე, ფილოსოფოსი, აკადემიკოსი).

ზაურ ცერცვაძე. (არქიტექტორი, მწერალი, მხატვარი).

ზაურ ხაჩიძე. (პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

პ/გ "მამული, ენა, სარწმუნოების" თავმჯდომარე).

გურამ კუპატაძე. (ეკონომისტი, აკადემიკოსი,

მწერალი, ორატორი და ტკბილ მოუბარი).

05. 05. 2024 წელი.